

**თელავის აკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სილაბუსი

- **სასწავლო კურსის დასახელება** - ლოგიკა
- **სასწავლო კურსის კოდი** - S.1.P.01
- **ლექტორი**-ირმა შიოშვილი, ასოც. პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი,
ტელ: 27-09-90; მობ: 599194422, ელ-ფოსტა: irma-giorgi@posta.ge.
კონსულტაციის დღე- სამშაბათი, 15.00 საათი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართლის ფაკულტეტის დეკანატი.
- **კრედიტების რაოდენობა** 5 კრედიტი, ანუ 125 სთ, აქედან 30 საკონტაქტო, 95
დამოუკიდებელი მუშაობისთვის. 30 საკონტაქტო საათიდან 15 არის სალექციო, 15
სასემინარო.
კვირაში ჩატარდება 2 სთ.
- **სასწავლო კურსის სტატუსი**-სავალდებულო-არჩევითი
- **სასწავლო კურსის მიზანი** -სალექციო კურსის მიზანია აზროვნების ლოგიკური პროცესის
შესწავლა, იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს სწორი დასაბუთება, რა განსხვავებაა სწორ და მცდარ
დასკვნებს შორის, არსებობს თუ არა დასაბუთებაში შეცდომის აღმოჩენის წესები, როდის გვაძლევს
მოცემული მსჯელობა ან მსჯელობათა ჯგუფი შესაძლებლობას მათგან სწორად გამოვიყვანოთ
ზოგიერთი სხვა მსჯელობა. ლოგიკა ასწავლის სტუდენტს, როგორია მეცნიერული მსჯელობის
ბუნება და სწორი აზროვნების მეთოდები და წესები.
- **სასწავლო კურსის შედეგი:**

	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	სტუდენტი შეიძენს ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში	სტუდენტს შესწავლილი აქვს აზროვნების ლოგიკური პროცესი, თუ რას ნიშნავს სწორი დასაბუთება, რა განსხვავებაა სწორ და მცდარ დასკვნებს შორის, როგორია მეცნიერული მსჯელობის ბუნება და სწორი აზროვნების მეთოდები და წესები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია აზრის სიზუსტის მიღწევა და მისი ადეკვატური გამოყენება. აქვს კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი. მიღებული ცოდნის გამოყენება წარმატებით შეიძლება ცოდნის ყველა დარგში	აქვს ლოგიკური ანალიზის, წანამძღვრების ჩამოყალიბების, ლოგიკური შეცდომების დადგენის და კამათის ლოგიკური წესებით წარმართვის უნარები. შეუძლია პოზიციის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო მაგალითების აღმოჩენა და შესაფერისი ძლიერი და სუსტი არგუმენტების განცალკევება, აზრების სწორად გაგება და გადაცემა ლოგიკური აზროვნების ძრითად კანონებზე დაყრდნობით.

დასკვნის უნარი	შეუძლია ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. ფლობს ინფორმაციის სინთეზის უნარს.	ინდუქციის, დედუქციის და სხვა მეცნიერული მეთოდების მეშვეობით შეუძლია კონკრეტული წანამდგვრებიდან გამართული დანასკვის გამოყვანა და ლოგიკურად გამართული დასკვნების მიღება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ინფორმაციის სრული, მთლიანი ჩონჩხის ჩამოყალიბება, აზრების სწორად გაგება და გადაცემა ლოგიკური აზროვნების ძირითად კანონებზე დაყრდნობით.	კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ეუფლება მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპებს, კამათის წარმართვის ხერხებს, დაცვის და შეტევის ლოგიკურ წესებს კამათში.
სწავლის უნარი	აზროვნების ძირითადი კანონების, საწინადადებო მაკავშირებლების, მოცილე ჰიპოთეზების, ჰიპოთეზაზე მუშაობის საფეხურების ცოდნა ავითარებს სწავლის უნარს, რის შედეგადაც სტუდენტს უკეთესად შეუძლია სწავლის პროცესის მართვა.	სტუდენტი უკეთესად აითვისებს დარგთან დაკავშირებულ ყველა დისციპლინას.
ღირებულებები	შეუძლია ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.	

- სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: არა ქვს

- სასწავლო კურსის შინაარსი:

თემა# 1.კვირა#1.

ლოგიკი სწინასწარი განმარტება. ჭეშმარიტება და მცდარობა. ბჭობა და დასკვნა.

ლექცია1სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ. (1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 3-7.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე,ვ. (1955).ლოგიკა. თბილისი: თსუ, გვ. 44-47.

Поупкин Ричард., Страл Аврум., (1997). Философия, Вводный курс, Американский учебник по

философии для российского студента, Москва – Санкт-Петербург: Серебряные нити, Университетская книга, стр. 370-372.

თემა#2.კვირა#2.

ბჭობის სისწორის (გამართულობის) პრობლემა.

ლექცია1სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 7-11.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე,კ. (1955) .ლოგიკა. თბილისი: თსუ, გვ. 48-67.

თემა#3. კვირა#3.

აზროვნების ძირითადი კანონები.

ლექცია1სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 11-14.

ბაქრაძე,კ.(1955) .ლოგიკა. თბილისი: თსუ, გვ. 423-436.

დამატებითი ლიტერატურა:

ტარსკი.(1971). ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის

შესავალი. თბილისი: თსუ. გვ. 66-72.

თემა#4. კვირა#4.

დედუქციური და ინდუქციური დასკვნები.

ლექცია1სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 14-16.

გვ. 150-158.

ბაქრაძე,კ.(1955) .ლოგიკა. თბილისი: თსუ, გვ. 337-348.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე,კ.(1955) .ლოგიკა. თბილისი: თსუ, გვ. 349-357.

ტარსკი.(1971) . ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის

შესავალი. თსუ. გვ. 128-150.

Поупкин Ричард., Страл Аврум., (1997). Философия, Вводный курс, Американский учебник по

философии для российского студента, Москва – Санкт-Петербург: Серебряные нити, Университетская книга, стр. 372-375.

თემა#5. კვირა#5.

საწინააღმდეგო მაკავშირებლები. კონიუნქცია. დისიუნქცია. უარყოფა. იმპლიკაცია.

ეკვივალენცია. მაკავშირებელთათვისებები. წინააღმდეგობათა ლოგიკის კანონების

სქემატური წარმოდგენა.

ლექცია1სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი.

გვ. 21-34.

ტარსკი.(1971) . ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის

შესავალი. თბილისი: თსუ. გვ. 47-58

თემა#6. კვირა#6.

ჭეშმარიტების ცხრილებით შემოწმების მეთოდი. ლოგიკური გამომდინარეობის
ზოგადი წესები.

ლექცია 1სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., და ივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 35-39.

თემა#7. კვირა#7.

მარტივი კატეგორიული სილოგიზმი. კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები, მოდუსები, წესები. ლოგიკური კვადრატი, უკუქცევადება და დაქცევა. მარტივი კატეგორიული წინადადების ჯგუფმართების პირობები.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი, ლ., დაივანიძე, ნ. (1997). *ლოგიკა*. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 106-126.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე, ვ. (1955). *ლოგიკა*. თბილისი: თსუ, გვ. 259-280.

Поупкин Ричард., Страл Аврум., (1997). *Философия, Вводный курс, Американский учебник по*

философии для российского студента, Москва – Санкт-Петербург: Серебряные нити, Университетская книга, стр. 377-388.

თემა#8. კვირა#8.

პირობითი სილოგიზმები. გაყოფითი სილოგიზმები. წინამდებობაზე დაყვანის მეთოდი.

ლექცია 1 სთ. შუალედური წერა 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი, ლ., დაივანიძე, ნ. (1997). *ლოგიკა*. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 14-16. გვ. 43-55.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე, ვ. (1955). *ლოგიკა*. თბილისი: თსუ, გვ. 218-220.

Поупкин Ричард., Страл Аврум., (1997). *Философия, Вводный курс, Американский учебник по*

философии для российского студента, Москва – Санкт-Петербург: Серебряные нити,

Университетская книга, стр. 377-388.

თემა#9. კვირა#9.

ბჭობის საგნები. საგანთა ნიშან-თვისებები (ატრიბუტები). ცნება. ცნების სახეები. ცნების შინაარსი და მოცულობა. ძირითადი დამოკიდებულებები ზოგად ცნებებს შორის. ცნების განსაზღვრება.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი, ლ., დაივანიძე, ნ. (1997). *ლოგიკა*. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 71-75. გვ. 89-98.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე, ვ. (1955). *ლოგიკა*. თბილისი: თსუ. გვ. 93-140.

თემა#10. კვირა#10.

სიმრავლეები. უნივერსალური სიმრავლე და ნულოვანი სიმრავლე. ძირითადი მიმართებები სიმრავლეებს შორის.

ლექცია 1 სთ. ზეპირი გამოკითხვა 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი, ლ., და ივანიძე, ნ. (1997). *ლოგიკა*. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 75-79.

ტარსკი. (1971). *ლოგიკის ადადეგუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის*

შესავალი. თბილისი: თსუ. გვ. 84-88.

თემა#11. კვირა#11.

ოპერაციები სიმრავლეებზე. შედგენილი ნიშან-თვისებები. ტოლძალოვანი

კლასები, კლასის კარდინალური რიცხვი.

ლექცია 1სთ.სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი.გვ. 79-85.

ტარსკი.(1971) .ლოგიკისადადედუქიურმეცნიერებათამეთოდოლოგიის

შესავალი.თბილისი: თსუ. გვ. 88-92.

თემა#12. კვირა#12.

ჰიპოთეზი, მოცილე ჰიპოთეზები. ჰიპოთეზაზე მუშაობის საფეხურები.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 168-183.

თემა#13. კვირა#13.

ალბათობა. შედგენილ ხდომილებათა ალბათობა.

ლექცია1სთ. პრაქტიკული ამოცანები და სავარჯიშოები (წერით)- 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., და ივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი.გვ. 184-190.

თემა#14. კვირა#14.

დასაბუთების სახეები. შეცდომები და საბუთებაში.

ლექცია1სთ. სემინარი 1 სთ..

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი. გვ. 191-203.

დამატებითი ლიტერატურა:

ბაქრაძე,ვ. (1955).ლოგიკა. თბილისი: თსუ.გვ. 447-456.

Поупкин Ричард., Страл Аврум., (1997). Философия, Вводный курс, Американский учебник по

философии для российского студента, Москва – Санкт-Петербург: Серебряные нити, Университетская книга, стр. 404-416.

თემა#15. კვირა#15.

კამათი და მისი სახეები. მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპები. კამათის

წარმართვი სახეები. დაცვისა და შეტევის ლოგიკური წესები კამათში.

ლექცია1სთ. შუალედური წერა 1 სთ.

სავალდებულო ლიტერატურა:

მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ.(1997) . ლოგიკა. თბილისი: ქრონოგრაფი.გვ. 203-215.

• **სწავლებისა და სწავლის მეთოდები** - კურსი გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექცი ებსა და სემინარებში. სწავლა წარმართება ინტერაქტიული მეთოდითპრეზენტაციებით, დისკუსიებით, დებატებით, მუშაობით მცირე ჯგუფებში, თვითშეფასებით, სხვათა ნაშრომების შეფასებით, პრაქტიკული ამოცანების და სავარჯიშოების გაკეთებით.

- **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტებს შეფასებისას მოეთხოვებათ:

- თეორიული საკითხის ცოდნა;
- სავარჯიშოების ამოხსნა

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით:

91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
41-50	FX	არასაკმარისი(სტუდენტს ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება)
0-40	F	ჩაიჭრა(სტუდენტმა საგანი ახლიდან უნდა გაიაროს)

შეფასების კრიტერიუმები: სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი ფასდება წერიითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით, თითოეულ მათგანს ენიჭება მაქს. 15 ქულა. თითოეულ შუალედურ წერაში შევა ორი თეორიული საკითხი და ერთი პრაქტიკული ამოცანა ან საგარეო მოცემული.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი ფასდება ოთხჯერადად, ზეპირი გამოკითხვით, სადაც თითოეულ გამოკითხვას ენიჭება 5 ქულა.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, პრეზენტაციით. სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალურ საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისია არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არა უგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერიითი ფორმით, კომბინირებული სახით (ტესტები, თეორიული მასალა), ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადების თანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე და აწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი იქნება არანაკლებ 10 დღისა.

- **ძირითადი ლიტერატურა:**

1. მჭედლიშვილი,ლ., დაივანიძე,ნ. (1997) . *ლოგიკა*. თბილისი: ქრონოგრაფი.
2. ბაქრაძე,კ. (1955).*ლოგიკა*. თბილისი: თსუ
3. ტარსკი.(1971) .*ლოგიკისა და ადედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი*. თბილისი: თსუ

- **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Поупкин Ричард., Страл Аврум., (1997). *Философия, Вводный курс, Американский учебник по философии для российского студента*, Москва – Санкт-Петербург: Серебряные нити, Университетская книга, стр. 370-426.